სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 071
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272401

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, I კორპუსი, V სართული, დეკანატი–ოთახი №97
ტელ.: 0350 23 36 71; E-mail: soc.faculty@tesau.edu.ge

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ტურიზმი |
| აკადემიური განათლების საფეხური | ბაკალავრიატი (I საფეხური) |
| საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი | ძირითადი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ტურიზმის ბაკალავრი (Bachelor in tourism) |
| სწავლის ხანგრძლივობა | ოთხი აკადემიური წელი (რვა სემესტრი) |
| ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა | 240 ECTS კრედიტი |
| პროგრამის ხელმძღვანელი | ნანა რინკიაშვილი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი, ტელ. (+350) 23-3671 nana.rinkiashvili@tesau.edu.ge, ნელი ცქიტიშვილი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი, ტელ. (+350) 23 -1100. nelly.tskitishvili@gmail.com |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები | ტურიზმის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიათა დაუფლება და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევების გამომუშავება; ტურიზმის მართვის ორგანოებში, აგრეთვე საზოგადოებრივი სექტორის ორგანიზაციათა ეკონომიკურ სამსახურებში პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება-განვითარება; მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად აუცილებელი ცოდნის შეძენა.<br><br>დასაქმების პროფილიდან გამომდინარე, ტურიზმის აკადემიური ხარისხის მქონე პირი დამოუკიდებლად უნდა ქმნიდეს შესაბამის პროდუქტს ტურიზმში და მოკვლევის საფუძველზე თავად უნდა პოულობდეს მისი გასაღების არხებსა და გზებს, უნდა შეეძლოს ეფექტური ტურისტული კამპანიების შერჩევა, დაგეგმვა და შეთავაზება დამკვეთისათვის, სარეკლამო საშუალებებში დროისა და ადგილის ეფექტური შერჩევა და გაყიდვა, ტურისტული ნაკადების ცოდნა, პროგნოზირება და მართვა. ტურისტული ფირმებისათვის სარეკლამო პროცესის ორგანიზება, ფირმის სტილისა და იმიჯის შექმნა და ა.შ. |

**პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | იცნობს ბიზნესის ადმინისტრირების საერთო სტრუქტურას და ქვედარგებს (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები, ტურიზმი, აღრიცხვა და სხვა) შორის ურთიერთკავშირს. იცნობს ბიზნესის სფეროს ძირითად თეორიებსა და კონცეფციებს, მეთოდებს, პრინციპებს, ტენდენციებს, ტერმინოლოგიას, აცნობიერებს დარგში მიმდინარე პროცესებს და მოვლენებს; აქვს ბიზნესის სფეროში მუშაობისთვის აუცილებელი რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების ცოდნა; | აქვს ტურიზმის ბიზნესის საფუძვლებისა და დარგის განვითარების ცოდნა; ეკო და აგროტურიზმის საფუძვლების და ღვინის ტურიზმის შესახებ ცოდნა; ფლობს ცოდნას ტურისტული პროდუქტის მოთხოვნა-მიწოდების შესახებ, იცის ტურისტული მომსახურების მომხმარებლებზე მოქმედი ფაქორების განსაზღვრა; |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | შეუძლიან დარგის შესაბამისი ბაზრის კვლევა, მომხმარებლის ქცევის თავისებურებების გამოვლენა, მოთხოვნის შესწავლა და პროგნოზირება; | შეუძლიან: ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასება და მათი გამოყენება;<br><br>ტურისტული ბიზნესის დაგეგმვა და გაძღოლა, ტურისტული ბაზრის კონიუქტურის ანალიზი და ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირება.<br><br>ტურისტული სააგენტოებისა და სამოგზაურო ბიუროების მარკეტინგული შესაძლებლობის გააანალიზება და სათანადო შეფასება; |

| | | |
|---|---|---|
| | | ტურისტული მარშრუტების დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი; |
| **დასკვნის უნარი** | აქვს პრობლემების განსაზღვრის ალტერნატიული გზების დასახვის უნარი. | შეუძლია მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში ამოცანათა დაგეგმვა და განხორციელება, პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდების გამოყენების, მათი დასაბუთებისა და დაცვა; |
| **კომუნიკაციის უნარი** | შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობა შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან; | შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა დარგის ტერმინოლოგიის გამოყენებით; შეუძლია საკითხის ფორმულირება, ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა; |
| **სწავლის უნარი** | შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და სწავლის საჭიროებების განსაზღვრა; | აქვს დამოუკიდებლად ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის ამაღლების უნარი; |
| **ღირებულებები** | აქვს გაცნობიერებული პროფესიული, პასუხისგებლობა და ეთიკური ნორმები ორგანიზაციაში და საზოგადოებაში. | პატივს სცემს სხვა ხალხების ეთნო–კულტურულ ფასეულობებს; აცნობიერებს ტურიზმის როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ მნიშვნელობას. შეუძლია ახალი ტურისტული პროდუქტის შემუშავება და მათი დამკვიდრება ტურისტულ ბიზნესში. |

| | |
|---|---|
| **დასაქმების სფერო** | საბაკალავრო განათლების მიღების შედეგად ბაკალავრს შეეძლება იმუშაოს სახელმწიფო ორგანიზაციების სტრუქტურებში, არასამთავრობო დაწესებულებებში და ყველა იმ ორგანიზაციებში, რომლებიც ტურიზმთან არიან დაკავშირებული: ტურისტულ და კომერციულ ინდუსტრიაში დასაქმებულ ფირმებსა და საწარმოებში, საერთაშორისო და ეროვნულ ეკონომიკურ ორგანიზაციებში. ტურიზმში ბიზნესის მართვის ბაკალავრის ხარისხის მქონეებმა შეიძლება დაიკავონ პოზიციები როგორც კორპორაციულ სექტორში, ასევე ტურისტულ ადმინისტრაციაში მართვის სხვადასხვა დონეზე: |